

მცირე ბიზნესის საბანკო დაკრედიტების მდგომარეობა და ლარიზაციის ნაშთალისებელი ფაქტორები

რეზიუმე

ნატა ბიბილური
სტუდ-ს დოქტორანტი

ცნობილია, რომ საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში, საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ორსაფეხურიანი საბანკო სისტემა ჩამოყალიბებული, რომლის ზედა საფეხურზე - ქვეყნის ეროვნული (ცენტრალური) ბანკი, მეორე საფეხურზე კი - სააქციო საზოგადოების ტიპის უნივერსალური კომერციული ბანკები და სხვა საფინანსო საბანკო და არასაბანკო დაწესებულებებია განთავსებული (2, 20-22).

ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფაა, ამასთანავე, ეროვნულმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს ფინანსური სისტემის სტაბილურობა და ხელი შეუწყოს ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ ზრდას ისე, რომ საფრთხე არ შეუქმნას მისი ძირითადი ამოცანების შესრულებას (1, 8-21).

საკვანძო სიტყვები: თარგმირების რეჟიმი, მონეტარული პოლიტიკა, მცირე ბიზნესის საბანკო დაკრედიტება, მთლიანი შიდა პროდუქტი.

შესავალი

ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანის - ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა, თავის მხრივ, ნიშნავს საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის შენარჩუნებას სამიზნე მაჩვენებელთან ახლოს. ზემოთაღნიშნული პოლიტიკის გატარების შესაძლებლობას თარგმირების რეჟიმი იძლევა, რომელიც თანამედროვე მონეტარული პოლიტიკის საუკეთესო პრაქტიკად არის აღიარებული. ამასთანავე, მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტებისა და გადაცემის მექანიზმის განვითარებასთან და სრულყოფასთან ერთად, ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა ინფლაციის თარგმირების რეჟიმის პირობებში უფრო ნაკლები საზოგადოებრივი დანახარჯებ-

ით იქნება შესაძლებელი. შესაბამისად, ეროვნული ბანკი მუდმივად ზრუნავს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტების დახვეწასა და მონეტარული გადაცემის მექანიზმის ეფექტიანობის ზრდაზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთი პრიორიტეტი **ლარიზაციის ზრდაა**, ვინაიდან ლარიზაცია ქვეყანაში მაკრო-ფინანსური რისკების შემცირების მიმართ მდგრადობის გაზრდის წინაპირობას წარმოადგენს. ეს ასევე აისახება მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობის ზრდაში. ამგვარად, ლარიზაცია საქართველოს ეროვნული ბანკის გრძელვადიანი პოლიტიკის ნაწილია და მისი წამახალისებელი რეფორმები ეტაპობრივად ხორციელდება. ამ კუთხით, 2018 წელს ეროვნულმა ბანკმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა; კერძოდ, 2018 წლის ივნისში ლარით სახსრების მოზიდვის დამატებითი წახალისების მიზნით, ლარით მოზიდულ სახსრებზე მინიმალური სარეზერვო ნორმა 7-დან 5 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრებისათვის სარეზერვო მოთხოვნა 25 პროცენტამდე გაიზარდა, ნაცვლად მანამდე მოქმედი 20 პროცენტისა. უნდა აღინიშნოს, რომ 1-დან 2-წლამდე ვადიანობის მოზიდული უცხოური სახსრებისათვის სარეზერვო ნორმა 10 პროცენტია, ხოლო 2 წელზე მეტი ნარჩენი ვადიანობის უცხოური ვალუტით ნასესხები სახსრები გათავისუფლებულია აღნიშნული მოთხოვნისაგან.

ძირითადი ნაწილი

უნდა აღინიშნოს, რომ უცხოური ვალუტით სარეზერვო მოთხოვნებზე დასარიცხი საპროცენტო განაკვეთის ზრდის ტენდენციები, თა-

ვის მრიგ, ლარით დეპოზიტების მოზიდვის უპირატესობას ზრდის. უცხოური ვალუტით სარეზერვო მოთხოვნები ის ინსტრუმენტია, რომლის საშუალებითაც **ეროვნულ ბანკს შუბლია გავლენა იქონიოს უცხოური ვალუტის საპროცენტო განაკვეთზე და ბანკების მიერ უცხოური ვალუტით დაკრედიტების ტენდენციებზე.** მაგალითად, უცხოური ვალუტის ვალდებულებებზე **სარეზერვო ნორმის მატება ზრდის ბანკებისათვის რესურსების მოზიდვის ხარჯებს, და, შესაბამისად, ამცირებს უცხოური ვალუტით ეკონომიკის დაკრედიტებას.** გარდა ამისა, უცხოური ვალუტით სარეზერვო მოთხოვნები ბუფერის როლსაც ასრულებს და პრუდენციული მიზნებისათვისაც გამოიყენება. მაგალითად, უცხოური ვალუტის მოულოდნელი სწრაფი გადინების შემთხვევაში, ეს რესურსები უცხოური ვალუტის ლიკვიდობის არსებობას უზრუნველყოფს, რითაც კრიზისის რისკებს ამცირებს.

ბოლო წლების ღონისძიებების ფონზე 2017 წელს გააქტიურებული დედოღარიზაციის ტენდენცია 2018 წლის პირველ ნახევარშიც გაგრძელდა, რაც შესაძინევი იყო როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების შემთხვევაში. მთლიანად, 2018 წლის განმავლობაში სესხების დოღარიზაცია, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, 0,8 პროცენტული პუნქტით შემცირდა, ხოლო დეპოზიტების დოღარიზაციის მაჩვენებელი წლის განმავლობაში 3,2 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 63,1 პროცენტი შეადგინა (ნაცვლად 2017 წლის 78 პროცენტისა).

ცნობილია, რომ ფინანსური სტაბილურობისათვის მნიშვნელოვანია მდგრადი ფინანსური სისტემა და მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს განვითარებაზე აქტიურად მუშაობა. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს საბანკო სექტორში 15 კომერციული ბანკი ფუნქციონირებდა. არარეზიდენტი მესაკუთრეების მონაწილეობა ბანკების აქტივებში, საბოლოო მფლობელობის მიხედვით, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 87, ხოლო სააქციო კაპიტალი - 81 პროცენტს შეადგენდა.

2018 წელი მნიშვნელოვანი იყო საგარეო სექტორის აქტიურობის, კერძოდ კი საქსპორტო შემოსავლების, ტურისტული შემოსავლებისა და ფულადი გზავნილების მატების

კუთხით. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მშპ-ს მხოლოდ 7,7 პროცენტი შეადგინა, რაც ბოლო 5 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტზე პოზიტიურად მოქმედებდა მომსახურებით ვაჭრობის ბალანსის გაუმჯობესება, რომელიც 2018 წელს 220 მლნ აშშ დოღარით გაიზარდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ტურისტული შემოსავლების 518 მლნ აშშ დოღარით (19 პროცენტი) ზრდა. საქონელით ვაჭრობა მიმდინარე ანგარიშის კვლავ ყველაზე დეფიციტური კომპონენტია. 2018 წელს საქონელით ვაჭრობის დეფიციტი მთლიანი შიდა პროდუქტის 0,2 პროცენტული პუნქტით გაუარესდა და 25,4 პროცენტი შეადგინა და, როგორც იყო აღნიშნული, 2018 წლის განმავლობაში ექსპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა. იმპორტი კი 2018 წელს არათანაბრად იზრდებოდა. მთლიანად, 2018 წლის განმავლობაში საქონელის იმპორტი 15,5 პროცენტით გაიზარდა და ექსპორტის ზრდის მოცულობა მცირედით გადაწონა.

2018 წელს, წინა წლების მსგავსად, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების ძირითადი წყარო კვლავ წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები იყო, საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 1,2 მლრდ აშშ დოღარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 35 პროცენტით ნაკლებია. **საგარეო სექტორის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების ფონზე, 2018 წელს ეკონომიკური ზრდის მთავარი მამოძრავებელი წმინდა ექსპორტი იყო, ხოლო ინვესტიციების და შიდა მოთხოვნის წვლილი ექსპორტთან შედარებით სუსტი იყო.** 2018 წელს საქართველოს ეკონომიკა წინასწარი მონაცემებით 4,7 პროცენტით გაიზარდა, საიდანაც უდიდესი წვლილი, 4,5 პროცენტული პუნქტი მომსახურებაზე, ხოლო ინდუსტრიულ დარგზე 0,2 პროცენტული პუნქტი მოდიოდა.

პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ჩარჩოს შემუშავებაზე 2018 წლის მანძილზე საქართველოს ეროვნული ბანკი, ფინანსური სექტორის მაქსიმალური ჩართულობით, აქტიურად მუშაობდა, **რომლის მიზანია საქართველოს ფინანსური სისტემის სტაბილური ფუნქციონირების ხელშეწყობა და ჯანსაღი დაკრედიტების წახალისება.** მომზადდა ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულება, რომელიც

სრულად დაფუძნებულია პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპებზე და გულისხმობს დაკრედიტების პროცესში ისეთი სტანდარტების გამოყენებას, რომ მსესხებელმა ფინანსური სიძნელეების გარეშე შეძლოს სესხის მომსახურება. დებულების მოთხოვნები ვრცელდება ფიზიკურ პირებზე (მათ შორის ინდ. მეწარმეებზე) არასამეწარმეო მიზნობრიობიტ გაცემულ სესხებზე თუ მსესხებლის ჯამური ვალდებულება არ აღემატება 2 მილიონ ლარს. სავალდებულო გახდა სესხის გაცემისას მსესხებლის გადახდისუნარიანობის ანალიზი, რაც გულისხმობს მათი შემოსაცვლების, ხარჯებისა და ვალდებულებების შესწავლას. ამასთანავე დადგინდა სესხის მომსახურების და უზრუნველყოფის კოეფიციენტების მაქსიმალური ზღვრები, რომლის დაცვაც ყველა სესხის გამცემ ორგანიზაციას მოეთხოვება.

2018 წლის იანვრიდან ძალაში შევიდა ცვლილება „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში, რომლის მიხედვითაც საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს (სსბ) საქმიანობის რეგულირებისა და ზედამხედველობის უფლებამოსილება საქართველოს ეროვნულ ბანკს მიენიჭა. უნდა აღინიშნოს, რომ რეგულირების შემოღების შემდეგ მონაცემებში ტექნიკური ხარვეზების 20 პრიცენტზე მეტი გასწორდა.

მნიშვნელოვნად შეიცვალა არასაბანკო სექტორის რეგულირებისა და ზედამხედველობის ნორმატიული ბაზა. გადაიხედა „მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესი“. გამკაცრდა სარეგისტრაციო მოთხოვნები. 2018 წელს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო პორტფელის დოლარიზაციის მაჩვენებელი, 27 პროცენტიდან 16 პროცენტამდე შემცირდა. გატარებული ღონისძიებების ერთობლიობამ მიკროსაფინანსო სექტორი უფრო ლიკვიდური, კაპიტალიზირებული და სტაბილური გახადა.

ბანკები სულ უფრო სწორად აქცევენ ყურადღებას მსესხებელთა საქმიანობის დივერსიფიკაციას, რათა აიცილონ მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების რისკები, რადგანაც მცირე ბიზნესი ყველაზე მგრძნობიარეა საბაზრო ცვლილებების მიმართ და საკმაოდ სწრაფად ეგუება ბაზრის კანონების ცვალებადობას. მათ არ სჭირდებათ შეცვალონ რთული საწარმოო პროცესები, მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებისგან განსხვავებით. საკრედიტო ორგანიზაციების რისკები გაცილებით მცირეა.

წლების განმავლობაში კომერციული ბანკები სულ უფრო და უფრო ლოიალურად ეპყრობიან საცალო და ვაჭრობის ობიექტებს, დადებითად აფასებენ რა მათ მაღალ რესურსების ბრუნვალობას და საპირისპიროდ ამცირებენ წარმოებისა და ინოვაციური დარგის წარმომადგენლების დაფინანსებას და ტოვებენ მათ სახელმწიფო ბანკების ყურადღების სფეროში.

მცირე ბიზნესის დაკრედიტების სეგმენტში არსებული სიტუაცია შეიძლება გამოიხატოს შემდეგი ტენდენციებით:

- მცირევადიანი დაკრედიტების გაფართოება მსხვილი ბანკების მხრიდან სკორინგული დაკრედიტების გაფართოების ფონზე;
- სავაჭრო საწარმოების პრიორიტეტული დაფინანსება საწარმოო სფეროსთან შედარებით;
- წამყვანი საკრედიტო ორგანიზაციების მხრიდან მცირე და საშუალო საწარმოების კომპლექსური მომსახურების გაფართოება;
- მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტებისას რისკების მართვასთან მიმართებაში ბანკების სტრატეგიის შეცვლა - ავტომატიზირებული სკორინგული სისტემების სრულყოფა;
- მიწოდებადი საკრედიტო პროდუქტების პირობების დივერსიფიკაციის შემცირება;
- არსებული კლიენტების შენარჩუნება ლოიალურობის ახალი პროგრამების შეთავაზებით;
- მცირე და საშუალო ბიზნესის კრედიტების მიხედვით ვადაგადაცილებული დავალიანების ზრდის ტემპების შემცირება და მათი იურიდიული პირების ვადიანი სასესხო დავალიანების ნაშთების ზრდის ტემპებთან თანაზომიერებადობა.

მიუხედავად მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტებაში არსებითი ცვლილებებისა, ბანკების მხრიდან „დაკარგულ“ შესაძლებლობებად კვლავ გრძელვადიანი დაკრედიტება რჩება და ჩვენი მოსაზრებით, ძირითადი მიზეზი შემდეგში მდგომარეობს:

- მცირე ბიზნესის მხრიდან გრძელვადიან სესხებზე მოთხოვნის შემცირება ეკონომიკაში სტაგნაციისა და ბანკებისა და ბიზნესის მხრიდან ახალი საინვესტიციო პროექტების დამუშავებაში

- დაუინტერესებულობის გამო;
- „გრძელი“ ფულის გადასვლა საკრედიტო სფეროდან ლიზინგის სფეროში: ცენტრალური ბანკის მხრიდან გრძელვადიან სესხებზე მოთხოვნის გაზრდასთან დაკავშირებით ლიზინგურმა კომპანიებმა, რომელთა მიმართ ასეთ მოთხოვნები არ არის გათვალისწინებული, მცირე და საშუალო ბიზნისის სეგმენტის ხარჯზე თავიანთი ბიზნისი არსებითად გაზარდეს.

დასკვნა

კომერციული ბანკების საკრედიტო ოპერაციების განვითარება მთლიანობაში არის დამოკიდებული სახელმწიფოს მხრიდან მცირე ბიზნისის განვითარებისთვის ხელშეწყობის პოლიტიკაზე.

ასევე ბიზნისის გაძღოლის პირობების გამჭვირვალობის ამაღლებაზე ზემოთხამოთვლილი დადებითი ტენდენციების შენარჩუნების პირობებში. გარდა ამისა, მცირე ბიზნისი საბანკო დაკრედიტების (მზსდ) ორგანიზების ჩარჩოებში კომერციული ბანკებისათვის დამატებითი სტიმულებია საჭირო, რომელთა გარეშე აღნიშნულ სფეროში არსებითი ცვლილებები ნაკლებად არის მოსალოდნელი. ჩვენი აზრით, მცირე ბიზნისისათვის კრედიტების ბაზრის ჩამოყალიბებული ტენდენციებისა და მდგომარეობის შესწავლისას საჭიროა თითოეული რეგიონის ბანკების საკრედიტო და საინვესტიციო შესაძლებლობების საკითხებს როგორც ცალკეულ რეგიონში, ასევე მთლიანად ქვეყნაში, როგორც განვითარების სტრატეგიის შექმნის საფუძველს, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიშგება 2018. - თბილისი, 2018. - ინფო ნბგ.გე; ნბგ.გე. - 300 გვ.
2. ცაავა გ., ხანთაძე გ. - საბანკო საქმე (თეორია, მეთოდები დაპრაქტიკა), სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2014. - 600 გვ.
3. Куликова О.М. - Формы кредитования малого бизнеса: автореф дисю юую канд экон наук: 08.00.10. - Волгоград, 2005.
4. Терновская Е.П. - Банковское кредитование реального сектора: основные тенденции послекризисного периода // Банковское дело. - 2011. - №27 (459).

The state of small business bank lending and the encouraging factors of larization

Nata Bibiluri
PhD student of GTU

In conclusion, we can say that the development of credit operations of commercial banks as a whole depends on the governmental policy of promoting the development of small business..

Also when studying the emerged trends in the lending market and the state of small business, special attention should be paid to the issues of credit and investment opportunities of banks in each region both in each of regions and throughout the country.